

საწარმოო პრაქტიკის განხორციელების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წესი არეგულირებს ა(ა)იპ ახალი პროფესიული კოლეჯსა და პარტნიორ ორგანიზაციას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის/ხელშეკრულების საფუძველზე პროფესიულ სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის ორგანიზების, ჩატარების და შეფასების პროცედურებს.
2. პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილია.

მუხლი 2. საწარმოო პრაქტიკის მიზნები

საწარმოო პრაქტიკის მიზანია:

1. პროფესიული სტუდენტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნისა და გამოიმუშავებული უნარების უშუალოდ პრაქტიკის ობიექტზე, პრაქტიკულ გარემოში ადაპტაცია, განვითარება და განმტკიცება;
2. ორგანიზაციის ფუნქციურ საქმიანობაში მონაწილეობა;
3. საქმიანი ურთიერთობების ჩამოყალიბება;
4. შემდგომი სწავლის მოტივაციის გაზრდა.

მუხლი 3. კოლეჯისა და პარტნიორი ორგანიზაციის უფლება მოვალეობები

1. საწარმოო პრაქტიკის დასაგეგმად კოლეჯის წარმომადგენელი, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი პრაქტიკის დაწყებამდე 1 თვით ადრე ახდენს ზეპირ/წერილობით კომუნიკაციას პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან, დამატებით აცნობებს და ათანხმებს:
 - ა) საწარმოო პრაქტიკის ხანგრძლივობას;
 - ბ) დღიურად სამუშაო საათების რაოდენობას;
 - გ) ხელშეკრულების პირობებს და პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობას.
2. პრაქტიკის დაწყებამდე 2 კვირის განმავლობაში კოლეჯსა და პარტნიორ ორგანიზაციას შორის ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება, სადაც მითითებულია: კონკრეტული მოდულის დასახლება, პრაქტიკის განხორციელების თარიღები, პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა. ხელშეკრულებას დანართის სახით ერთვის პროფესიულ სტუდენტთა სახელობითი სია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და პრაქტიკის გეგმა.



3. კოლეჯი გამოყოფს საწარმოო პრაქტიკის მასწავლებლებს შესაბამისი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.
4. პარტნიორი ორგანიზაცია საწარმოო პრაქტიკის განსახორციელებლად გამოყოფს დარგის სპეციალისტს - პრაქტიკის ხელმძღვანელს, რომელიც საწარმოო პრაქტიკის მასწავლებელთან ერთად უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა უნარების შეფასებას მოდულით მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისად;
5. საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელი შესაძლოა იყოს პარტნიორი ორგანიზაციის ის თანამშრომელი, რომელიც ამავე დროს არის კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელი;
6. საწარმოო პრაქტიკის აუცილებლობისა და სპეციფიკის გათვალისწინებით პროგრამის ხელმძღვანელის/პრაქტიკის მასწავლებლის მიზანშეწონილობის დასაბუთების შემთხვევაში (ტექნოლოგიები, საოფისე, აგრარული და ა.შ.) შესაძლოა იყოს კოლეჯის ბაზა
 - 6.1. პროგრამის ხელმძღვანელი/პრაქტიკის მასწავლებელი მიზანშეწონილობის დასაბუთებას წერილობით წარუდგენს ხარისხის მენეჯერს 1,5 თვით ადრე, პრაქტიკის დაწყებამდე.
 - 6.2. ხარისხის მენეჯერი წერილობით გასცემს პასუხს:
 - ა) თანხმობა საწარმოო პრაქტიკის ობიექტის კოლეჯის ბაზაზე არსებობის თაობაზე;
 - ბ) უარი საწარმოო პრაქტიკის ობიექტის კოლეჯის ბაზაზე არ არსებობის თაობაზე;
 - გ) ამ მუხლის 6.2. პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შემთხვევაში ხარისხის მენეჯერი წერილობით ავალებს პროგრამის ხელმძღვანელს/პრაქტიკის მასწავლებელს პარტნიორ ორგანიზაციასთან კომუნიკაციას ამ წესის მე-3 მუხლით განსაზღვრული პროცედურებისა და ვადების დაცვით.
7. პროფესიული სტუდენტი თუ არის დასაქმებული ან გადის დარგის მიმართულებით სტაჟირებას, დამსაქმებელი ორგანიზაციიდან ინიცირების შემთხვევაში საწარმოო პრაქტიკის მოდულით მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისი უნარების, კომპეტენციების დამდასტურებელ ცნობას და პროფესიული სტუდენტის მიერ პრაქტიკის ანგარიშის წარმოდგენის საფუძველზე პრაქტიკის მასწავლებელი უდასტურებს მოდულით მისაღწევი სწავლის შედეგებს;
8. სსსმ პროფესიული სტუდენტის საწარმოო პრაქტიკაზე განაწილება საჭიროების შემთხვევაში განხორციელდება ინკლუზიური განათლების სპეციალისტის მიერ საწარმოო პრაქტიკის დაწყებამე მინიმუმ 1 თვით ადრე შეფასდება პრაქტიკის ობიექტის სასწავლო გარემო;
9. საწარმოო პრაქტიკის მასწავლებელი საწარმოო პრაქტიკის დაწყებამდე 2-3 დღით ადრე პრაქტიკის ხელმძღვანელს პარტნიორი დაწესებულებიდან დეტალურად გააცნობს პროგრამას, მოდულს, სასწავლო გეგმას, პრაქტიკის გეგმას, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების წესს .

მუხლი 4. საწარმოო პრაქტიკის ორგანიზება, მიმდინარეობა

1. საწარმოო პრაქტიკის მიმდინარეობას მონიტორინგს უწევს საწარმოო პრაქტიკის მასწავლებელი;



2. საწარმოო პრაქტიკის მასწავლებელი პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად აწყობს შეხვედრას პროფესიული სტუდენტების სამიზნე ჯგუფთან და აცნობს საწარმოო პრაქტიკის განხორციელებასთან დაკავშირებულ ყველა დეტალს: პრაქტიკის ხანგრძლივობას, კვირის დღეებს, დღეში საათების რაოდენობას, მისვლის და მოსვლის დროს, პრაქტიკის დღიურის და პრაქტიკის ანგარიშის წარმოების წესს, უფლება მოვალეობებს, გადასცემს პრაქტიკის დღიურებს.
3. საწარმოო პრაქტიკის მასწავლებელი საწარმოო პრაქტიკის დაწყების დღეს მიაცილებს პროფესიულ სტუდენტებს სამუშაო ადგილზე;
4. საწარმოო პრაქტიკის მასწავლებელი ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკის ობიექტზე გამოცხადებისა და პროცესში ჩართულობის მონიტორინგს;
5. მონიტორინგის მტკიცებულებას წარმოადგენს პრაქტიკის ობიექტზე გამოცხადებისას პრაქტიკის ხელმძღვანელის ხელმოწერა მონიტორინგის ფურცელზე;
6. საწარმოო პრაქტიკის დასრულების შემდეგ საწარმოს ხელმძღვანელი თითოეული პროფესიული სტუდენტის დღიურს ადასტურებს ხელმოწერით და ორგანიზაციის ბეჭდით (არსებობის შემთხვევაში);
7. საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელი პრაქტიკის დასრულების შემდეგ აფასებს პრაქტიკის მიმდინარეობისას პროფესიული სტუდენტის მიერ გამოვლენილ პროფესიულ უნარებს;
8. პრაქტიკის მასწავლებელი ახდენს პრაქტიკის საბოლოო შეფასებას.

მუხლი 5. პროფესიული სტუდენტის შეფასება

1. საწარმოო პრაქტიკის შეფასებას ხდება მოდულით გათვალისწინებული კრიტერიუმების შესაბამისად;
2. შეფასების პროცესში საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელი:
 - ა) აკვირდება პრაქტიკული დავალების შესრულების პროცესს;
 - ბ) თითოეული შესაფასებლისთვის აწარმოებს შეფასების ჩანაწერების ფორმებს;
 - გ) აფასებს თითოეულ შესრულების/შეფასების კრიტერიუმს.
3. შეფასების დასრულებისას საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელი:
 - ა) შესაფასებელს აძლევს განმარტებას შეფასებასთან დაკავშირებით;
 - ბ) აჯამებს შეფასების შედეგებს და ადასტურებს ხელმოწერით;
 - გ) შეფასების ჩანაწერებს გადასცემს პრაქტიკის მასწავლებელს.
4. საწარმოო პრაქტიკის ბოლოს ფასდება:
 - ა) პრაქტიკის დღიური;
 - ბ) ანგარიში, განხორციელებული საწარმოო პრაქტიკის შესახებ;
 - გ) მოდულით მისაღწევი სწავლის შედეგები.
5. საწარმოო პრაქტიკის მოდულის შეფასებას თითოეულ პროფესიულ სტუდენტზე ახდენს საწარმოო პრაქტიკის მასწავლებელი;


6. პრაქტიკის მასწავლებელი საწარმოო პრაქტიკის დასრულებიდან მაქსიმუმ 2 კვირის ვადაში აბარებს პროგრამის ხელმძღვანელის საწარმოო პრაქტიკის დღიურებს, მონიტორინგის ფურცლებს და წარმოდგენს წერილობით ინფორმაციას სტუდენტთა შეფასების თაობაზე.

მუხლი 6. საწარმოო პრაქტიკის დღიურის წარმოება და შეფასება

1. საწარმოო პრაქტიკის პერიოდში პროფესიული სტუდენტი ყოველდღიურად აწარმოებს აქტივობების აღწერას კოლეჯის მიერ შემუშავებულ დღიურში;
2. საწარმოო პრაქტიკის დღიური ითვალისწინებს პროგრამით გათვალისწინებული აქტივობების კალენდარული გეგმის წარმოებას, საწარმოო პრაქტიკის ობიექტზე პროფესიული სტუდენტის მიერ შესასრულებელი სამუშაოების აღწერას და კომპეტენციების განვითარების ცხრილს, სადაც პროფესიული სტუდენტს თავისი შეხედულებისამებრ შეაქვს ჩანაწერი იმის შესახებ თუ კონკრეტულად რომელი კომპეტენციის განვითარებაში დაეხმარა საწარმოო პრაქტიკის დროს შესრულებული ესა თუ ის სამუშაო;
3. პრაქტიკის მასწავლებელი აფასებს პროფესიული სტუდენტის მიერ წარმოებულ პრაქტიკის დღიურს პრაქტიკის დღეების რაოდენობისა და პროფესიული სტუდენტის მიერ პრაქტიკის პროცესში განხორციელებული საქმიანობის ანალიზის მიხედვით.

მუხლი 7. საწარმოო პრაქტიკის ანგარიში და შეფასება

1. საწარმოო პრაქტიკის დასრულების შემდეგ პროფესიული სტუდენტი ადგენს კოლეჯის მიერ შემუშავებული ფორმის მიხედვით საწარმოო პრაქტიკის ანგარიშს;
2. საწარმოო პრაქტიკის ანგარიში უნდა შეიცავდეს ყველა იმ საკითხის მოკლე მიმოხილვას, რომელიც შეისწავლა და შეასრულა პროფესიულმა სტუდენტმა პრაქტიკის განმავლობაში;
3. საწარმოო პრაქტიკის ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას:
 - ა) რა ტიპის ფუნქციებს ასრულებდა პროფესიული სტუდენტი პრაქტიკის დროს;
 - ბ) საწარმოო პრაქტიკით დაგეგმილი (ან დაუგეგმავი) რომელი უნარები შეიძინა და/ან განვითარა პრაქტიკის პროცესში;
 - გ) შეესაბამება თუ არა პრაქტიკის დროს განხორციელებული საქმიანობა სწავლის პერიოდში გამოიმუშავებულ კომპეტენციებს
 - დ) რა სირთულეებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წააწყდა საწარმოო პრაქტიკის პროცესში კოლეჯის სასწავლო პროგრამაში არსებული ხარვეზების გამო;
 - ე) საწარმოო პრაქტიკის განმავლობაში მოპოვებული და დამუშავებული მასალები (დებულებები, კანონები, ბრძანებები, საფინანსო დოკუმენტაცია და ა.შ.)
4. საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელი აფასებს პროფესიული სტუდენტის მიერ წარმოდგენილ საწარმოო პრაქტიკის ანგარიშს;
5. საწარმოო პრაქტიკის ანგარიშის დადებითი შეფასება დგება შეფასების კრიტერიუმების მინიმუმ 80%-ის დადასტურების შემთხვევაში.



მუხლი 8. საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელის მოვალეობები

პრაქტიკის ხელმძღვანელი:

- ა) ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის ორგანიზებას პარტნიორ ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულების და ამ წესის საფუძველზე;
- ბ) პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად პროფესიულ სტუდენტებს აცნობს საწარმოო პრაქტიკის განხორციელებასთან დაკავშირებულ დეტალებს;
- გ) ამუშავებს საწარმოო პრაქტიკის მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების პრაქტიკული დავალებების თემატიკას და უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტებს ინდივიდუალური დავალებებით;
- დ) პროფესიულ სტუდენტებს უწევს მეთოდურ დახმარებას პრაქტიკული დავალებების შესრულებისას;
- ე) უწევს კონტროლს პროფესიული სტუდენტების პრაქტიკის ობიექტზე დროულად გამოცხადებას და პრაქტიკის ვადების დაცვას;
- ვ) ახორციელებს მტკიცებულებების შეგროვებას და პროფესიული სტუდენტების შეფასებას;
- ზ) სასწავლო პროცესის მენეჯერს წერილობით აცნობებს პროფესიული სტუდენტების მხირდან პარტნიორი ორგანიზაციის შინაგანაწესის დარღვევის და მოთხოვნების შეუსრულებლობის შესახებ;
- თ) საწარმოო პრაქტიკის მიმდინარეობისას ზეპირად/წერილობით აწვდის ინფორმაციას პროგრამის ხელმძღვანელს პროფესიულ სტუდენტთა დასწრების და მათი პრაქტიკის პროცესში ჩართულობის შესახებ.

მუხლი 9. პროფესიული სტუდენტის უფლებები და მოვალეობები

1. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მიიღოს კონსულტაციები საწარმოო პრაქტიკის საკითხებზე და მეთოდური დახმარება დავალებების შესრულებისას საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელისგან;
2. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:
 - ა) გაიაროს საწარმოო პრაქტიკა განსაზღვრულ ვადებში;
 - ბ) დროულად, ზუსტად და სრულად შეასრულოს პრაქტიკის ხელმძღვანელის დავალებები;
 - გ) დაიცვას უსაფრთხოების წესები და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
 - დ) დაიცვას პრაქტიკის დაწესებულების შინაგანაწესი;
 - ე) აწარმოოს პრაქტიკის დღიური;
 - ვ) საწარმოო პრაქტიკის დასრულების შემდეგ დროულად წარადგინოს საწარმოო პრაქტიკის ანგარიში.